



საინფორმაციო ბიულეტენი რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე

ასოციაცია ჰერა XXI

№1. 2016; იანვარი/თებერვალი

სარჩევი:

- სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში - საქართველო
- საინტერესო ინფორმაცია
- სათემო ჯგუფი პოზიტიური დამოკიდებულება, პოზიტიური ქცევა (PAPA) სტიგმა-დისკრიმინაციის წინააღმდეგ
- საერთაშორისო ამბები

სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში -საქართველო

არასამთავრობო ორგანიზაციები მთავრობას სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე UPR-ის რეკომენდაციების შესრულებისკენ მოუწოდებენ

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია (თანადგომა, ჰერა XXI, იდენტობა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)) ეხმიანება უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მეორე ციკლის ფარგლებში, წვერი სახელმწიფოების მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებს და მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ გაიზიაროს და მოახდინოს რეკომენდაციების ეფექტური იმპლემენტაცია.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია კოალიცია, სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) მხარდაჭერით, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში, ადვოკატირებას უწევდა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების (SRHR) დაცვის საკითხებს. ამ მიზნით, ორგანიზაციებმა UPR-ის წინაშე წარადგინეს ინდივიდუალური და კოლექტიური ჩრდილოვანი ანგარიშები. ამასთან, კოალიციამ მონაწილეობა მიიღო წინასასესიო განხილვებში და წარადგინა სპეციალური მოხსენება, რომელიც სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და უფლებებს, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების საკითხებს, ლგბტ პირთა დისკრიმინაციას, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოების მიერ გაცემულ რეკომენდაციათა მთლიანი რაოდენობის 39% ეხებოდა სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და უფლებებს, რომელთა შორისაც ასევე აისახა კოალიციის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

წყარო: <https://emc.org.ge/2015/12/04/upr-srhr/>

ასოციაცია ჰერა XXI-მ ყოველწლიურ "რესურსების გამოფენაში" მიიღო მონაწილეობა

ასოციაცია ჰერა XXI-მ კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“, მშვიდობის კორპუსის (PEACE Corps) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ "რესურსების გამოფენაში" მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ. "რესურსების გამოფენის" მიზანია სხვადასხვა ორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობასა და პროექტების შესახებ ინფორმაციები გაცვალონ.

ღონისძიების ფარგლებში კიდევ ერთხელ აღინიშნა ასოციაცია ჰერა XXI-ს საქმიანობის მნიშვნელობა და ითქვა, რომ განსაკუთრებით მომავალი თაობისთვის არის აუცილებელი ჰქონდეთ ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის მეთოდებზე, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე. ასოციაციამ მიიღო შემოთავაზება ლაგოდების სკოლებშიც ჩაატაროს ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო სესიები.

წყარო: http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=130

ასოციაცია ჰერა XXI-მ თანასწორ-განმანათლებლების ახალი ნაკადი გადაამზადა

ასოციაცია ჰერა XXI განაგრძობს ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდების, როგორც თანასწორ განმანათლებელთა გადამზადებას რეპროდუქციულ საკითხებსა და უფლებებზე. თებერვლის თვეში ასოციაციის ინიციატივით ათი ახალგაზრდა შეირჩა. პროექტ "ჯანსაღი თაობის" ფარგლებში მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ რეპროდუქციულ საკითხებზე, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, ოჯახის დაგეგმვაზე, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე, უსაფრთხო აბორტსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ამისა ისინი ტრენერებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებსაც დაეუფლნენ. ღონისძიებაში მონაწილეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდანაც იყვნენ წარმოდგენილი.

წყარო: http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=131

თანამშრომლობა მედიაციის ცენტრთან

2010 წლის ნოემბრიდან არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა, რომლის მენეჯმენტსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს. მედიაციის სფეროს განვითარების სტრატეგიის წარმართვისა და ეფექტიანი მენეჯმენტის მიზნით 2014 წელს დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბაზაზე მედიაციის სახლი გაიხსნა. მედიაციის სახლის მიზანს მედიაციის მეთოდების გამოყენებით დანაშაულის პრევენცია წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრი რამოდენიმე მიმართულებით მუშაობს. მედიატორები აღდგენით მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების მიზნით კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან და დაზარალებულებთან

მუშაობენ. მედიაციის ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში ასოციაცია ჰერა XXI-მ ჩაატარა მოზარდ-ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდა 10-მდე მაღალი რისკის მქონე ახალგაზრდა. შეხვედრამ აქტიურად ჩაიარა, ახალგაზრდები ჩართულები იყვნენ და აინტერესებდათ აღნიშნული საკითხები, რომლებიც მათ გარდატეხი პერიოდში აწუხებთ.

ოკუპირებულ აფხაზეთში აბორტი აიკრძალა

ოკუპირებულ აფხაზეთში აბორტი აიკრძალა. შესაბამის კანონს დე-ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ხელი უკვე მოაწერა.

„აფხაზეთში ბევრი ღონისძიება ჩატარდა, რომლის მიზანიც იყო მოსახლეობის უფლებებზე ინფორმირება, ერთ ერთი უფლება გახლავთ ჯერ არ დაბადებული ნაყოფის უფლება. აფხაზეთის მთავრობა ხედავს აბორტის აკრძალვის აუცილებლობას, რათა დაიცვას ბავშვების უფლებები“- აცხადებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ერთ-ერთი არასამთავრობო ფონდის ხელმძღვანელი და იმედს გამოთქვამს, რომ აფხაზეთში მიღებული ეს კანონი ბიძგს მისცემს რუსეთის ფედერაციაში აბორტის კარძალვის პროცესს.

როგორც ასოციაცია ჰერა XXI-ეს აფხაზეთის დე-იურე მთავრობის ჯანდაცვის მინისტრმა ქეთევან ბაკარაძემ განუცხადა ის ფაქტის შესახებ ინფორმირებულია.

„დიახ, ეს ინფორმაცია სამინისტროს უკვე აქვს. როგორც ვიცით ადგილობრივი მოსახლეობა და განსაკუთრებით ქალბატონები ძალიან შეშფოთდნენ და შეწუხებულები არიან აღნიშნული ცვლილებით. თუმცა ჯერ-ჯერობით ჩვენთვის არცერთ ბენეფიციარს არ მოუმართავს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის თხოვნით. მსოფლიოს პრაქტიკაში არაერთი პრეცედენტი, რომ აბორტი საერთოდ აკრძალვას ყოველთვის მოჰყვება კრიმინალური აბორტის რიცხვის ზრდა. ჯერ არ მსენია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე რომელიმე არასამთავრობოს მიღებულ კანონთან დაკავშირებით პროტესტი გამოეთქვა, თუმცა ვიცი რომ საზოგადოება უკმაყოფილოა“- აცხადებს ჩვენთან საუბარში ქეთევან ბაკარაძე.

როგორც ცნობილია საქართველოში აბორტი 12 კვირამდეა ნებადართულია, შემდეგ კი მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით.

რა იწერება ქართულ მედიაში -რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე

რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება, ანუ როგორ დავგეგმოთ ცხოვრება

„რეპროდუქციული ჯანმრთელობა სასიცოცხლო პროცესია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ კეთილდღეობასთან. რეპროდუქცია არ ეხება მხოლოდ ჯანმრთელობას, არამედ ის მოიცავს უფლებრივ საკითხსაც. სახელმწიფოს უდიდესი როლი აქვს. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ჰარმონიული და ჯანსაღი განვითარების კონცეფცია. რა თქმა უნდა, ყველაფრის ქვაკუთხედი განათლებაა, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში. ბოლო სრულყოფილი კვლევა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში საქართველოში 2010 წელს ჩატარდა. სახელმწიფო თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, ჩაატაროს კვლევები, შეისწავლოს საკუთარი მოსახლეობის საჭიროებები და შემდეგ უკვე ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნება სურათი რა უნდა გაკეთდეს“.

ინტერვიუს სრული ვერსია კი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://liberali.ge/articles/view/20930/reproduqtsiuli-janmrtelobis-ufleba-anu-rogor-davgegmot-tskhovreba>

სათემო ჯგუფი პოზიტიური დამოკიდებულება, პოზიტიური ქცევა (PAPA) სტიგმა-დისკრიმინაციის წინააღმდეგ

ასოციაცია „ჰერა XXI“ -ს მიერ აივ-ინფექცია/ შიდსის პრევენციისა და საზოგადოებაში არსებული სტიგმა-დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით შექმნილი აივ-ინფიცირებულთა, პოზიტიურ ადამიანთა ჯგუფი-პოზიტიური დამოკიდებულება, პოზიტიური ქცევა (PAPA) ქვეყნის საკორდინაციო საბჭოს წევრი გახდა.

ჯგუფი აქტიურად არის ჩართული საბჭოს საქმიანობაში, რომელიც არის ადგილობრივ დონეზე ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ორგანო, რათა ადვოკატირება გაუწიოს და მხარი დაუჭიროს სგდ/აივ ინფიცირებულთა საზოგადოების საჭიროებებს.

„პაპა“ ჯგუფს შემუშავებული აქვს 2015-2020 სტრატეგიული მიმართულებები: აივ პოზიტიური თემის გაძლიერება სტიგმა-დისკრიმინაციის დასაძლევად; სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება მაღალი რისკის ჯგუფებთან მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით; PAPA ჯგუფის გაძლიერება და განვითარება.

აივ/ინფიცირებულის გულახდილი ისტორია და ტელევიზიით „დანგრეული“ ცხოვრება

22 წლის აივ/ინფიცირებული გოგონა ასოციაცია ჰერა XXI-ს თავის ისტორიას უყვება, რომელშიც ყველაზე ტრაგიკული ისაა, რომ მედია დაუდევრად მოექცა მის პირად პირად ცხოვრებას და უხეში შეცდომით ახალგაზრდას ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია.

”ერთ–ერთი პროვინციული, არცთუ პატარა ქალაქიდან გახლავართ. ასაკით საკმაოდ პატარა, 22 წლის, თუმცა როცა ექიმმა ჩემი დიაგნოზის შესახებ მამცნო, არ გამკვირვებია. ცხოვრების რაღაც ეტაპზე აუცილებლად ველოდი ამის ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე... მყავს მეგობარი მამაკაცი, თუმცა მას საჯაროდ არავის ვაცნობ, მხოლოდ ვიწრო წრეში იციან ჩვენი ურთიერთობის შესახებ. მანამდეც მქონდა რამოდენიმე სხვა კავშირი”...

წყარო: http://hera-youth.ge/index.php?m=51&news_id=129

საერთაშორისო ამბები

იქნება თუ არა აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენელი გაეროს მომავალი გენერალური მდივანი ?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გასული წლის 15 დეკემბრიდან ოფიციალურად დაიწყო მზადება მომავალი გენერალური მდივნის არჩევისათვის. ორგანიზაციის 193 წევრი ქვეყნის წარმომადგენლისათვის შეთავაზებულ იქნა წინადადება განსახილველად, რომ აღნიშნული თანამდებობა, რომელსაც უკვე 70 წელია მამაკაცი ხელმძღვანელობს, ქალბატონმა დაიკავოს. გაეროს გენერალური პან გი მუნი, სამხრეთ კორეის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ორი 5 წლიანი ვადის შემდეგ, დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის ბოლოს გადადგება. უსაფრთხოების საბჭოს 15 წევრი, მათ შორის ვეტოს უფლების მქონე ჩინეთი, რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი რეკომენდაციას უწევენ რომ კანდიდატი არჩეულ იქნას გენერალური ასამბლეის მიერ. გაეროს ოფიციალური პირები იმედოვნებენ, რომ კანდიდატთა სია 2016 წლის მარტისთვის შერჩეული იქნება.

წყარო: <http://uk.reuters.com/article/uk-un-election-idUKKBN0TY2YQ20151215>

გაეროს რეზოლუცია ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე

გაეროს უსაფრთხოების საბჭომ გასული წლის დეკემბერში ერთხმად მიიღო ნოვატორული რეზოლუცია ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. რეზოლუცია ხუთ კომპონენტზეა დამყარებული: თანამონაწილეობა, დაცვა, თავიდან აცილება, პარტნიორობა, გათავისუფლება და რეინტეგრაცია. რეზოლუცია განიხილავს ახალგაზრდებს, როგორც მნიშვნელოვან ჯგუფს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა პოზიტიური წვლილი შეიტანოს კონფლიქტების თავიდან აცილების და დარეგულირების პროცესში, ისევე როგორც უსაფრთხოების შესანარჩუნებასა და გამძლიერებაში. საბჭო მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გაზარდონ ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე. საბჭო ასევე მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გაზარდონ თავიანთი პოლიტიკური, ფინანსური, ტექნიკური და ლოჯისტიკური მხარდაჭერა რომელიც გამოყენებულ იქნება ახალგაზრდების საჭიროებებისა და მონაწილეობისათვის სამშვიდობო, კონფლიქტურ თუ პოსტ-კონფლიქტურ რეალობაში.

წყარო: [http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/2250\(2015\)](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/2250(2015))